პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 233 (5263)
1974 წ.
24 ნოემბერი, კვირა.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ვემზადოთ სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის!

# ანატოლი კარპოვი საჭადრაკო გვირგვინის პრეტენდენტია



მსოფლიოს საჭადრაკო გვირგვინის პრეტენდენტთა ფინალური მატჩის ბოლო, XXIV პარტიამ გუშინწინ უდიდესი ინტერესი გამოიწვია. მოსკოვის ესტრადის თეატრის მისადგომები პარტიის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე „ზედმეტი ბილეთის" მოლოდინში გულშემატკივრებით იყო სავსე.

თეთრებით მოთამაშე კარპოვს მატჩში გამარჯვებისთვის ყაიმიც ხელს აძლევდა და, ბუნებრივია, დებიუტიც ისეთი შეარჩია, სადაც, უპირველეს ყოვლისა, თავისი პოზიციის სიმყარეზე ფიქრობდა. კორჩნოიც, რაც ერთობ უცნაურად უნდა მოგვეჩვენოს, თავდაპირველად აგრესიულ განწყობილებას არ ამჟღავნებდა. შემდეგ კი, როცა ბრძოლის გამწვავებას შეეცადა, უკვე გვიან იყო.

მე-20 სვლაზე კორჩნოიმ შეგნებულად დაასუსტა თავისი პოზიცია — კონტრთამაშის შექმნას ფიქრობდა. მაგრამ კარპოვმა უნარიანად შეძლო ბრძოლა მისთვის სასარგებლოდ წარემართა და ყოველი სვლის შემდეგ პოზიციას აძლიერებდა. მოახლოებულ ცაიტნოტში კორჩნოიმ პაიკი დაკარგა და მისი მდგომარეობა ერთობ მძიმე გახდა. იგი მიხვდა, რომ მოგებაზე თამაში უაზრობა იყო და 31-ე სვლაზე მეტოქეს ყაიმი შესთავაზა. კარპოვმა ზავი მიიღო.

ამრიგად, 23 წლის დიდოსტატმა კარპოვმა მოიგო მატჩი ანგარიშით 3:2 (19 ყაიმი) და მსოფლიოს საჭადრაკო გვირგვინის პრეტენდენტი გახდა.

პრეტენდენტთა ამჟამინდელი ციკლის დაწყებამდე კარპოვი აცხადებდა, ეს ციკლი ჩემი არ არისო. მაგრამ, როგორც იტყვიან, მადა ჭამაში მოდის. როცა მეოთხედფინალურ მატჩში ახალგაზრდა დიდოსტატმა ლ. პოლუგაევსკი დაამარცხა (3:0), ხოლო შემდეგ დამაჯერებლად სძლია მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ბ. სპასკის (4:1), უკვე ცხადი გახდა, რომ ახალგაზრდა პრეტენდენტი არ ხუმრობდა. და აი, კორჩნოისთან დაძაბულ ბრძოლაში კარპოვმა მოიპოვა უფლება ითამაშოს მატჩი მსოფლიო ჩემპიონ რ. ფიშერთან (აშშ).

კორჩნოისთან მატჩში კარპოვმა მეორე პარტია შემტევი სტილით მოიგო და დაწინაურდა. შემდეგ მან შეძლო ანგარიშის გაზრდა, VI პარტიაში დაამარცხა კორჩნოი. ამას მოჰყვა ყაიმების გრძელი სერია და მხოლოდ XVII პარტიაში კარპოვმა ანგარიში 3:0-მდე გაზარდა.

როცა ანგარიში 3:0 გახდა, თითქმის აღარავის ეპარებოდა ეჭვი კარპოვის საბოლოო გამარჯვებაში, მაგრამ სათანადო უნდა მიეზღოს 43 წლის კორჩნოის, რომელიც მამაცურად განაგრძობდა ბრძოლას. XIX პარტიაში გამოცდილმა დიდოსტატმა შეძლო ანგარიშში სხვაობის შემცირება, ხოლო XXI პარტიაში იგი მინიმუმამდე დაიყვანა — 2:3. თითქოს სასწორი მის მხარეზე უნდა გადახრილიყო, მაგრამ კარპოვმა კარგად გაუძლო ამ ფსიქოლოგიურ შემოტევას და დამაჯერებლად ჩაატარა დასკვნითი სამი პარტია.

ახლა ყველას აინტერესებს საკითხი: შედგება თუ არა გაისად ფიშერ—კარპოვის მატჩი? მოგაგონებთ, რომ მსოფლიო ჩემპიონი იმუქრება უარი თქვას თავისი წოდების შენარჩუნებისთვის ბრძოლაზე თუ ფიდე არ დააკმაყოფილებს მის პრეტენზიებს. ფიდე-ს პრეზიდიუმმა ფიშერს დრო მისცა 1975 წლის 1 აპრილამდე მოიფიქროს პასუხი. თუ ამერიკელი დიდოსტატი აღნიშნული დროისთვის არ განაცხადებს თანხმობას ითამაშოს ფიდე-ს მიერ შეთავაზებული პირობებით, მას ჩამოერთმევა მსოფლიო ჩემპიონის წოდება და ეს ტიტული ავტომატურად გადაეცემა კარპოვს.

ა. ბუსლაევი,
სპორტის ოსტატი.

• • •

მოგვყავს მატჩის ბოლო, XXIV პარტია.

**კარპოვი — კორჩნოი**

მიღებული ლაზიერის გამბიტი

1. მf3 d5 2. d4 მf6 3. c4 dc 4. e3 g6 5. კ:c4 კg7 6. 0—0 0—0 7. b3 c6 8. კb2 კg4 9. მbd2 მbd7 10. h3 კf5 11. ეe1 მb6 12. კf1 მe4 13. მ:e4 კ:e4 14. მd2 კf5 15. ეc1 ეc8 16. ლe2 ეc7 17. a4 კc8 18. კa3 კe6 19. ლd1 ეe8 20. მe4 f5 21. მc5 კf7 22. კb2 მd7 23. მd3 ეc8 24. b4 a5 25. ba ლ:a5 26. კc3 ლa7 27. a5 c5 28. ლa4 მb6 29. ლa1 მd5 30. მ:c5 მ:c3 31. ლ:c3 ყაიმი.

• • •

სურათზე: ა. კარპოვი.
ვ. გალაკტიონოვის ფოტო.

# ორი ეტლის შეწირვით...

ბელორუსიისა და საქართველოს მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩის III ტურში ცხრა შეხვედრის ნაცვლად გაიმართა რვა, ვინაიდან მინსკელი ოსტატი ე. მოჩალოვი შეუძლოდ გახდა.

ეფექტურ გამარჯვებას მიაღწია დიდოსტატმა ბ. გურგენიძემ ოსტატ ა. კაპენგუტთან შეხვედრაში. მან თეთრებით ორიგინალურად გაითამაშა დებიუტი, შესწირა ორი ეტლი და მეტოქის მეფეზე მოუგერიებელი იერიში მიიტანა. 24-ე სვლაზე კაპენგუტმა დანებების ნიშნად საათი გააჩერა.

საქართველოს გუნდს მეორე ქულა მოუტანა ნ. ალექსანდრიამ, რომელმაც დაამარცხა ტ. კოსტინა. თ. გიორგაძე — მ. შერემეცკისა და ა. იზვოზჩიკოვ — ს. ბეგუნის შეხვედრები, რომლებშიც სტუმრები თეთრებით თამაშობდნენ, ყაიმით დამთავრდა.

ოთხი შეხვედრა გადაიდო. მსოფლიო ჩემპიონ ნ. გაფრინდაშვილს მატერიალური უპირატესობა და მოგების შანსები აქვს სსრ კავშირის ექს-ჩემპიონ კ. ზვორიკინასთან. გ. ზაიჩიკს ზედმეტი პაიკი აქვს ლ. ბასინთან პარტიაში. სოხუმელმა ოსტატმა ა. ტუზოვსკიმ ნ. ცარენკოვს ხარისხი შესწირა, ლაზიერით შეიჭრა მეტოქის ბანაკში და გადადებული პარტიის დამთავრებისას მოგებაზე შეუძლია იფიქროს. მხოლოდ ა. ბოკუჩავას აქვს მძიმე პოზიცია ა. როიზმანთან შეხვედრაში.

ამრიგად, III ტურის ანგარიშია ჯერჯერობით 3:1 საქართველოს მოჭადრაკეთა სასარგებლოდ, ხოლო საერთო ანგარიშია 13,5:8,5 (4 პარტია გადადებულია) ასევე ჩვენი გუნდის სასარგებლოდ.

ა. ნიკოლაძე.

• • •

გუშინ გაიმართა დასკვნითი, IV ტური. დღეს ჭადრაკის სასახლეში მოეწყობა გადადებული პარტიების დამთავრება და მატჩის დახურვა.

# „...სხვა გზა არა გვაქვს"

ლელო ინტერვიუ

**27 ნოემბერს დონის როსტოვში იწყება სსრ კავშირის თასის გათამაშება კლასიკურ ჭიდაობაში. წლევანდელი სეზონის ამ ბოლო ტურნირისთვის გულმოდგინედ მოემზადნენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდები. ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი, სპორტის ოსტატი გ. ბრეგვაძე ესაუბრა საქართველოს ნაკრების უფროს მწვრთნელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატ რ. აბაშიძეს. ვბეჭდავთ ამ საუბრის ტექსტს.**

● **პირველ ყოვლისა, „ლელოს" მკითხველებს აინტერესებთ, ვის მოუხდება საქართველოს ღირსების დაცვა?**

— როგორც ცნობილია, თასის გათამაშებაში ყოველ გუნდს ორი შემადგენლობა გამოჰყავს — ახალგაზრდული და მოზრდილებისა. საერთო გუნდურ ჩათვლაში ორივე შედეგს ერთნაირი მნიშვნელობა აქვს. ახალგაზრდული ნაკრების სავარაუდო შემადგენლობა წონითი კატეგორიების მიხედვით ასეთია: გიორგი შერვიაკოვი, მერაბ ხუხუა, ნიკოლოზ ნაკაშიძე, რაიდი აბრამიშვილი, ედიშერ მაჩაიძე, თემურ აფხაზავა, მალხაზ ლეჟავა, აირაპეტ მინასიანი, ალექსანდრე ჭელიძე და ავთანდილ მაისურაძე. უფროსთა გუნდში კი გამოვლენ: ავთანდილ ჩალაური, შალვა გიგოლაშვილი, ნოდარ მაჭარაშვილი, ჯემალ მეგრელიშვილი, გია გოგნაძე (ან ამირან აფრიამაშვილი), იოსებ ბერიშვილი, თამაზ კიკნაძე, ომარ ბლიაძე, მიხეილ სალაძე (ან აკაკი მელაძე), შოთა მორჩილაძე.

● **როგორია ტურნირის ფორმულა?**

— გუნდები ჯგუფებად არიან დაყოფილი. ჩვენს ჯგუფში იასპარეზებენ ყაზახეთის, უკრაინის და სომხეთის კოლექტივები. ჯგუფში ყველაზე ძლიერ მეტოქედ უკრაინის გუნდი მიმაჩნია, ხოლო ფინალში (როგორც ხედავთ, ფინალში მონაწილეობას დაბეჯითებით ვვარაუდობთ) — რუსეთის ფედერაციის კოლექტივი.

● **როგორც ჩანს, საქართველოს ნაკრები ამ ტურნირში გამარჯვებას ისახავს მიზნად...**

— ჩვენ სხვა გზა არა გვაქვს. თასის შარშანდელ გათამაშებაში გამარჯვებული კოლექტივი ვალდებულია წლეულსაც გამარჯვებაზე ფიქრობდეს.

გზაზე დამდგარი მწვრთნელისთვის სხვა შეკითხვების მიცემა კორესპონდენტმა უხერხულად ჩათვალა, ამიტომაც საუბარი ტრადიციული შეკითხვით დასრულდა.

● **როგორია თქვენი მომავალი გეგმები?**

— გაისად საერთო ყურადღების ცენტრში საბჭოთა კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადა იქნება. ამ შეჯიბრებისთვის ძირითად სამზადისს დავიწყებთ თბილისის საერთაშორისო ტურნირსა და პოდდუბნის მემორიალში მონაწილეობით.

• • •







სურათებზე: ასე ემზადებიან საქართველოს „კლასიკოსები" სსრ კავშირის თასის გათამაშებისთვის.

ჟ. ზარგარიანის ფოტოები.

# ეს შემაშფოთებელია

ამას წინათ მაიაკოვსკში ჩატარდა საქართველოს VI სპარტაკიადის დასავლეთის ზონის პირველობა ძალოსნობაში. აქ ასეთი დიდი შეჯიბრება პირველად მოეწყო და რაიონის ხელმძღვანელობას თავი არ დაუზოგავს სტუმრების კარგად შესახვედრად. ასპარეზობის მოხაწილეებს თეატრის შენობა დაუთმეს, შეიძინეს ახალი შტანგა, დადგეს ფიცარნაგი, მაგრამ მოლოდინი მაინც არ გამართლდა: შეჯიბრება მეტად დაბალ დონეზე ჩატარდა.

სარბიელზე გამოვიდა ხუთი გუნდის 29 ძალოსანი. არც-ერთ გუნდს სრული შემადგენლობა არ გამოუყვანია, თუმცა განაცხადების მიხედვით ყველა კოლექტივი მეორე და უფრო მაღალი თანრიგების სპორტსმენებით უნდა ყოფილიყო დაკომპლექტებული. ჩასათვლელი ნორმატივი (მეორე თანრიგი) მხოლოდ ხუთმა სპორტსმენმა შეასრულა.

კიდევ უფრო კურიოზული იყო გუნდური ადგილების განაწილება. აქ პირველობა მხოლოდ ორ გუნდს — საჩხერისა და მახარაძის რაიონების კოლექტივებს შორის გათამაშდა, რომლებმაც შესაბამისად I და II ადგილები დაიკავეს. დანარჩენი გუნდების ვერც ერთმა წარმომადგენელმა მეორე თანრიგის ნორმატივი ვერ შეასრულა და ამიტომ მათ ვერც ქულები მიიღეს.

წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: თ. ღლონტმა (მახარაძე), თ. მაისურაძემ (საჩხერე), ვ. თუმანოვმა (ორჯონიკიძე), თ. აბრამიშვილმა (საჩხერე), ტ. ზვამბაიამ (ცხაკაია), მ. ქვეითაიამ, კ. ქემხაძემ (ორივე — მახარაძე) და რ. ჯალალონიამ (ცხაკაია).

პირად შეჯიბრებაში გამარჯვებულთა შედეგები მეორე და მესამე თანრიგების ნორმატივებს არ აღემატება. მძიმე წონაში I ადგილზე გასულმა მესამე თანრიგის შედეგსაც ვერ მიაღწია. ზემძიმე წონაში კი საერთოდ არავინ გამოსულა სარბიელზე.

ზონალური შეჯიბრების შედეგები ნათლად მეტყველებს, რომ დღეისთვის ძალოსნური სპორტი ჩვენს რესპუბლიკაში მეტად უპერსპექტივო მდგომარეობაშია. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ სპორტის ამ სახეობის განვითარებისთვის პრაქტიკულად ძალიან ცოტა რამ კეთდება. სარბიელზე გამოსული გუნდების ნაწილი ნაუცბათევად იყო შეკოწიწებული. ზოგიერთ გუნდს მწვრთნელიც კი არ ჰყავდა, სპორტსმენები მოუმზადებლად ასრულებდნენ სხვადასხვა მოძრაობას.

შედარებით უკეთეს შთაბეჭდილებას ახდენდნენ საჩხერის (მწვრთნელი — სპორტის ოსტატი ე. დვალი) და მახარაძის (მწვრთნელი — რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი ვ. შავიშვილი) გუნდები. იგრძნობა, რომ ამ რაიონებში გარკვეული მუშაობა ტარდება ძალოსნობის განვითარებისთვის.

ძალიან დამაფიქრებელია ის ამბავი, რომ ჩასათვლელი ნორმატივები რესპუბლიკური მასშტაბის შეჯიბრებაში მეორე თანრიგს უდრის, მაგრამ მონაწილეთა უმრავლესობას ასეთი დაბალი მოთხოვნების შესრულებაც არ შეეძლო. კიდევ უფრო შემაშფოთებელია ის, რომ შეჯიბრებამ ვერ გამოავლინა პერსპექტიული ახალგაზრდები.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის მდგომარეობაც, რომ შეჯიბრების ყველა მონაწილე (გარდა ერთისა) „კოლმეურნის" წარმომადგენელი იყო. ეს ფაქტი მოწმობს, რომ სპორტული საზოგადოებები რაიონებში ძალოსნური სპორტის განვითარებისთვის თითქმის არაფერს აკეთებენ.

საოცარია, როცა ვიცით რესპუბლიკაში ძალოსნობის განვითარების არსებული მდგომარეობა, რა საჭიროა დებულებაში ისეთი მოთხოვნების შეტანა, რომელთა შესრულებასაც შეჯიბრების მონაწილეთა უმრავლესობა ვერ შეძლებს?

**შ. ბუაძე,**
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

## მეშვიდედ!

ამ დღეებში თბილისის ალპიურ კლუბში გამართულ კრებაზე „სპორტლოტოს" მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილემ გ. კაფანოვმა სსრ კავშირის სპორტკომიტეტისა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის გარდამავალი წითელი დროშა მეშვიდედ გადასცა „სპორტლოტოს" საქართველოს ზონალურ სამმართველოს 1974 წლის მესამე კვარტალში მოპოვებული საუკეთესო შედეგებისთვის.

„სპორტლოტოს" საქართველოს სამმართველოს, როგორც იტყვიან, საათივით აქვს აწყობილი მუშაობა. მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ ალმრიცხველს ყოველ ტირაჟში საშუალოდ „სპორტლოტოს" 20 ათასი ბარათის დამუშავება უწევს, შეცდომები პრაქტიკულად გამორიცხულია, ვინაიდან თუ მათ რაიმე შეეშლებათ, შეცდომას სხვა განყოფილების თანამშრომლები გამოასწორებენ. აქ ურთიერთკონტროლის სისტემით საქმიანობენ.

—რაც „სპორტლოტო" საქართველოში თამაშდება, რესპუბლიკის სპორტკომიტეტს სპორტული ნაგებობების მშენებლობისთვის, რეკონსტრუქციისთვის, კაპიტალური რემონტისთვის და სპორტინვენტარის შესაძენად 2,5 მილიონი მანეთი გადავეცით, — თქვა სამმართველოს უფროსმა გ. ზარდიაშვილმა.

## ჩვენი მოძმე რესპუბლიკები

### ინჟინრის ოქროს სამკერდე ნიშნები

კიევის რამდენიმე ინსტიტუტის მუშაკთა შორის, რომლებიც მშდ მრავალჭიდისადმი მიძღვნილ სპარტაკიადაში (19-დან 39 წლამდე) ასპარეზობდნენ, 50 წლის უფროსი ინჟინერი ა. სამსონოვიც იყო. მან შეძლო ახალგაზრდა მეტოქეების დამარცხება, რომლებიც ასევე IV საფეხურის ნორმებს ასრულებდნენ.

ზამთარ-ზაფხულ, ნებისმიერ ამინდში სამსონოვი არად აგდებს ტრანსპორტს და სამსახურში მხოლოდ სირბილით მიეშურება. ცხადია, თავისუფალი დროის დიდ ნაწილს იგი ფიზიკურ წრთობას ანდომებს.

როცა მშდ კომპლექსის ნორმების ჩაბარების წინ ექიმებმა სამსონოვის ჯანმრთელობა შეამოწმეს, გაოცებით გაშალეს ხელები და ახალგაზრდებთან შეჯიბრების უფლება მისცეს. ვეტერანმა მრავალჭიდის ყველა ზღუდე გადალახა და „ფიზიკური სრულყოფის" ოქროს ნიშანი დაიმსახურა. მერე მან V საფეხურის — „სიმხნევისა და ჯანმრთელობის" ნორმებიც ჩააბარა და შინისკენ... გაიქცა.

**ვ. მიხნევი.**
(საკდესის კორ.).

კიევი.



## რთული ვითარება

სსრ კავშირის ჩემპიონატი

გუშინწინ გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა გუნდების მორიგი მატჩები.

ლენინგრადი. VIII ტური გათამაშების ერთპიროვნული ლიდერისთვის საბედისწერო გამოდგა: „სპარტაკი" დამარცხდა და ისიც შინ, საკუთარი გულშემატკივრების წინაშე. ახლა, როცა ლიდერმა ქულა დაკარგა, რა თქმა უნდა, შეიძლება ლაპარაკი იმაზე, თუ რამდენად კანონზომიერი იყო მისი მარცხი. სპეციალისტთა ნაწილს მიაჩნია, რომ მოსკოვის „დინამო" ახალ სეზონში მზადაა იბრძოლოს საპრიზო ადგილისთვის. თუ ეს მართალია, „სპარტაკის" წაგებაში მოულოდნელი არაფერი მომხდარა.

ერთი სიტყვით, ლენინგრადის „სპარტაკმა" წააგო ეს მატჩი ანგარიშით — 69:72 (39:42).

საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლა უფრო საინტერესო და დაძაბული გახდა. ყოველ შემთხვევაში, წინა საკავშირო ჩემპიონატებში ასეთი რთული სიტუაცია არ ყოფილა. ტურნირმა ექვსაა სტარტი აიღო და დაუმარცხებელი არავინ დარჩა.

სვერდლოვსკი. კაუნასსა და თბილისში წაგებული თამაშების შემდეგ სსრ კავშირის ჩემპიონი ცსკა კიდევ უფრო გამწარებული იბრძვის: იგი აღარავის ინდობს... ამჯერად მისი „მსხვერპლი" „ურალმაში" გამოდგა. არმიელებმა დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს — 113:75 (52:42).

ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ გარემოებას: ცსკა-ს შინ ჯერ არ უთამაშია, ხოლო მისი უახლოესი მეტოქეები — ლენინგრადის „სპარტაკი" და თბილისის „დინამო" სტუმრად არ გასულან. ამასაც აქვს გარკვეული მნიშვნელობა.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 23 ნოემბრისთვის

| | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" | 7 | 1 | 704—589 | 7 |
| ცსკა | 5 | 2 | 656—562 | 5 |
| „დინამო" (მ.) | 5 | 1 | 525—442 | 5 |
| „დინამო" (თბ.) | 5 | 1 | 531—508 | 5 |
| „სტროიტელი" | 2 | 2 | 355—340 | 2 |
| „კალევი" | 2 | 2 | 332—323 | 2 |
| „ჟალგირისი" | 1 | 3 | 306—331 | 1 |
| „სტატიბა" | 1 | 3 | 310—348 | 1 |
| რტი | 1 | 5 | 483—547 | 1 |
| „ურალმაში" | 0 | 9 | 670—832 | 0 |

## ლიდერს სერიოზული გამოცდა ელის

### ექს-ჩემპიონის ბრწყინვალე თამაში

სამი ტურის შემდეგ კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის მონაწილეებმა ერთი დღით დაისვენეს.

ბაქოს ჯგუფში ჯერჯერობით მოულოდნელი არაფერი მომხდარა. სსრ კავშირის ჩემპიონი — ლენინგრადის „სპარტაკი" ერთპიროვნული ლიდერია. მან სტარტზევე სამივე შეხვედრა დამაჯერებლად მოიგო. მაგრამ I ტურის ბოლო ორი მატჩი ჩემპიონის სერიოზული გამოცდა იქნება, ვინაიდან იგი უნდა შეხვდეს მთავარ კონკურენტებს — კიევის „დინამოს" და მოსკოვის ოლქის „სპარტაკს". უკრაინელებმა და მოსკოვის ოლქის კალათბურთელებმა თითო შეხვედრა წააგეს და სატურნირო ცხრილში შესაბამისად II და III ადგილებზე არიან. დინამოელთა მდგომარეობა ერთგვარად უკეთესია: მათ დამარცხებული ჰყავთ უშუალო მეტოქეები — მოსკოვის ოლქის კალათბურთელები.

პირველ დღეს მოულოდნელი იყო კიეველთა მარცხი ალმა-ათის „უნივერსიტეტთან". მაგრამ ამ წარუმატებლობამ გუნდი, როგორც ჩანს, გამოაფხიზლა.

ჯერჯერობით ყველაზე ცუდი მდგომარეობა ლენინგრადის „ბურევესტნიკს" აქვს. მან სამი შეხვედრა წააგო, მაგრამ სამივე — ფავორიტებთან (თანაქალაქელებთან, მოსკოვის ოლქისა და კიევის კალათბურთელებთან). დარჩენილ ორ მატჩში „ბურევესტნიკს" მდგომარეობის გამოსწორება შეუძლია.

სატურნირო ცხრილი პირველი შეხვედრების შემდეგ ასეთია:

| | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" (ლ.) | 3 | 0 | 227—174 | 3 |
| „დინამო" | 2 | 1 | 214—204 | 2 |
| „სპარტაკი" (მოს. ოლქი) | 2 | 1 | 221—196 | 2 |
| ფისკ | 1 | 2 | 166—186 | 1 |
| „უნივერსიტეტი" | 1 | 2 | 175—191 | 1 |
| „ბურევესტნიკი" | 0 | 3 | 176—228 | 0 |

გამოიკვეთა მდგომარეობა ვილნიუსის ჯგუფშიც. ლიდერობა თავიდანვე ხელთ იგდო სსრ კავშირის ექს-ჩემპიონმა — რიგის ტტტ-მ. წარსული სეზონისგან განსხვავებით, ლატვიელი კალათბურთელები წლეულს სტარტზევე ბრწყინვალედ თამაშობენ. უკვე მთელი თავით მაღლა დგას მეტოქეებზე. ეს ყველაზე უკეთ ანგარიშებიდან ჩანს, მან სამივე მატჩი დიდი სხვაობით მოიგო: დნეპროპეტროვსკის „სტალთან" — 81:51, ფრუნზეს „სტროიტელთან" — 70:47, ვილნიუსის „კიბირკშტისთან" — 93:39 (51:25). მას გატანილი და მიღებული „ქულების" ბრწყინვალე ბალანსი აქვს: 244—137.

ვილნიუსის ჯგუფში მესამე კალენდარულ დღეს (22 ნოემბერი) მოსკოვის „დინამომ" დაამარცხა ფრუნზეს „სტროიტელი" — 66:50 (37:27), სვერდლოვსკის „ურალმაშმა" კი დნეპროპეტროვსკის „სტალი" — 77:53 (34:25).

**„ლელოს" მიმომხილველი.**

ფეხბურთი

[illegible]

## სტატისტიკის მოყვარულთათვის

წინა ნომერში ვიუწყებოდით ევროპის პირველობაზე 20 ნოემბერს გამართული შესარჩევი მატჩების შედეგებს. ზოგიერთ მატჩში გოლების გამტანთა ვინაობაც მოვა სხვით, ახლა კი სტატისტიკის მოყვარულთ იმ ცნობებს მივაწვდით, რომლებიც აქამდე ხელთ არ გვქონდა.

შოტლანდია — ესპანეთი. 2:1. გადამწყვეტი ბურთი მე-60 წუთზე გაიტანა ესპანელმა კინიმ. ახლა IV შესარჩევ ჯგუფში დაწინაურდა ესპანეთის ნაკრები, რომელსაც 4 ქულა აქვს 4-დან. რუმინეთის ეროვნულ გუნდა და დანიის ნაკრებს თითო ქულა აქვთ, ხოლო შოტლანდიელთა კოლექტივს — 0.

I შესარჩევ ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა: ინგლისი — 3 ქულა 4-დან, პორტუგალია — 1, ჩეხოსლოვაკია — 0, კვიპროსი — 0.

ლუქსემბურგელთა კარში მასპინძლებმა — უელსის ფეხბურთელებმა, როგორც ცნობილია, 5 „მშრალი" ბურთი გაიტანეს. თავი გამოიჩინეს ტოშაკმა, ინგლანდმა, რობერტსმა, გრიფიტსმა, იორატმა.

II შესარჩევ ჯგუფში დაწინაურდა უელსის ნაკრები — 4 ქულა 6-დან. ავსტრიისა და უნგრეთის ეროვნულ გუნდებს 2-2 ქულა აქვთ, ხოლო ლუქსემბურგის ნაკრებს — 0.

ბევრს გაუკვირდა საბერძნეთ — გფრ-ის მატჩის შედეგი (2:2). მაგრამ ათენში გამართულ მატჩში გერმანელები შესუსტებული გუნდით გამოვიდნენ. აი, მათი შემადგენლობა: მაიერი, ფოგტსი, ჰ. კრემერსი, შვარცენბეკი, ბეკენბაუერი, კულმანი (პირუსი), ჰოიესი, ჰოლცენბაინი, გაის, ვიმერი, ჰაინკესი (კაპელმანი).

ბერძნებმა ერთობ აგრესიულად ითამაშეს. ანგარიში მე-12 წუთზე გახსნა დელიკარისმა. საპასუხო ბურთი გფრ-ის გუნდმა მხოლოდ შესვენების შემდეგ გაიტანა: 51-ე წუთზე კულმანმა თანაფარდობა აღადგინა. ბერძნები შეცბნენ, მაგრამ მალე კვლავ ააწყეს თამაში და მწვავე იერიშებიც განავითარეს. და აი, 70-ე წუთზე ელეფთერაკისმა წინ გაიყვანა თავისი გუნდი. 82-ე წუთზე ვიმერმა მაღალი ნახტომით თავით შეძლო საპასუხო გოლის გატანა — 2:2. ბერძნებმა ორივე ბურთი დომაზოსის გადაცემებით გაიტანეს.

VIII შესარჩევ ჯგუფში ჯერჯერობით ლიდერობს საბერძნეთის ნაკრები — 2 ქულა 4-დან. თითო ქულა აქვთ ბულგარეთისა და გფრ-ის წარმომადგენლებს, მალტის გუნდს — 0 ქულა.

ჰოლანდია — იტალიის მატჩში (3:1) პირველი ბურთი მე-5 წუთზე გაიტანა იტალიელმა ბონინსენიამ.

V შესარჩევ ჯგუფში წინ არიან პოლონეთისა და ჰოლანდიის გუნდები, რომლებსაც 4-4 ქულა აქვთ. იტალიისა და ფინეთის ნაკრებ კოლექტივებს ჯერჯერობით არც ერთი ქულა არ მოუპოვებიათ.

თურქეთისა და ირლანდიის გუნდების მატჩში (1:1) ორივე ბურთი ირლანდიელებმა გაიტანეს: 55-ე წუთზე კოხუეიმ — საკუთარ კარში, 61-ე წუთზე გივენსმა — მასპინძელთა კარში.

საინტერესოა სსრ კავშირის „მეზობლების" შემადგენლობანი: თურქეთი — იასინი, ალფასლანი, ისმაილი, ზიია, ზექერია, ენგინი, სელჩუკი, ფიქმეპმეტი, მეჰმეტი, ჯემილი, მეტინი; ირლანდია — როჩი, კინიარი, დანი, მალიგანი, ჰენდი, ბრედი, მარტინი, კონუეი, ჯაილსი, გივენსი, ჰეიუეი.

VI შესარჩევ ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა: ირლანდია — 3 ქულა, თურქეთი — 1, სსრ კავშირი — 0, შვეიცარია — 0.

ამ კვირის დამდეგს ჩატარდა შესარჩევი მატჩი VII ჯგუფში. პარიზში საფრანგეთის ნაკრებმა ფრედ ითამაშა გდრ-ის გუნდთან — 2:2. თავდაპირველად სტუმრები საგრძნობლად დაწინაურდნენ: 25-ე წუთზე პირველი ბურთი გაიტანა შპარვასერმა, ხოლო 57-ე წუთზე კრაიშემ მეორედ აიღო მასპინძელთა კარი. ფრანგებმა ერთი გოლი მხოლოდ მე-80 წუთზე გაქვითეს (გიიუ), ხოლო თანაფარდობა 89-ე წუთზე აღადგინა გალესმა.

ამ ჯგუფში ლიდერობს ბელგიის ეროვნული გუნდი — 4 ქულა 4-დან. გდრ-ის ნაკრებს 2 ქულა აქვს, ხოლო საფრანგეთისა და ისლანდიის ფეხბურთელებს — თითო ქულა.

**„ლელოს" მიმომხილველი.**

## პირველი შეკრება

ხელმ50. შვეციის ამ ქალაქის მახლობლად პირველი შეკრება დაამთავრეს შვედმა მოთხილამურეებმა, რომელთა მეცადინეობას ნაკრები გუნდის ახალი მწვრთნელი, წარსულში ცნობილი მრბოლელი ლ. ოლსონი ხელმძღვანელობდა.

საწვრთნელ შეკრებაში ქვეყნის ყველა საუკეთესო სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა, გარდა 30 კილომეტრზე რბოლაში მსოფლიო ჩემპიონ თ. მაგნუსონისა, რომელიც ფეხს მკურნალობს.

მოსწავლეთა არდადეგების დღეებში

## ეფექტური წმინდა გამარჯვება

მოსწავლეთა ტურნირი ასეთი მრავალრიცხოვანი კარგა ხანია არ გვინახავს: სოხუმის მე-2 საშუალო სკოლის სპორტდარბაზში გამართულ თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა შეჯიბრებაში 15 გუნდის 195 სპორტსმენი მონაწილეობდა. მართალია, ყველა მოზარდი ტექნიკურად და ფიზიკურად ერთნაირად არ იყო მომზადებული, მაგრამ მაინც ბევრი საინტერესო შერკინება ჩატარდა და ზოგჯერ გამარჯვებულს ეს წოდება პატარა უპირატესობისთვის ენიჭებოდა.

მაგრამ ყველა წონით კატეგორიას თავისი ფავორიტები მაინც ჰყავდა. I ადგილებზე გასულებს გამარჯვების მოსაპოვებლად 5-7 შეხვედრის ჩატარება დასჭირდათ. გამონაკლისი იყო მხოლოდ ქვემძიმე და მძიმე წონები. ქვემძიმე წონაში სულ სამი სპორტსმენი გამოვიდა ხალიჩაზე, მძიმეში კი — ხუთი. ი. ცვიაკსა (სოხუმი) და ზ. აგლოზაშვილს (თბილისი) გამარჯვებისთვის სულ ორი-სამი შეხვედრის გამართვა დასჭირდათ.

უძლიერესის სახელის მოსახვეჭად გაცილებით ძნელი და გრძელი გზის გავლა მოუხდათ, მაგალითად, 52 კგ წონით კატეგორიაში გამარჯვებულ ლ. ყიფიანსა (ამბროლაური) და 56 კგ წონაში I ადგილზე გასულ კ. ხადურს (რუსთავი), რომლებმაც 7-7 მეტოქე დაამარცხეს. მაგრამ ყველასგან მაინც თბილისელი ტ. აბუაშვილი (48 კგ) უნდა გამოვყოთ. ამ ჭაბუკს ხალიჩაზე ექვსჯერ გამოუძახეს, ექვსივეჯერ უბადლო ოსტატობა გამოავლინა და წმინდა გამარჯვება მოიპოვა.

ტურნირმა დაგვანახვა, რომ ჩვენს რესპუბლიკაში თავისუფალი ჭიდაობის მასშტაბი კიდევ უფრო გაფართოვდა: გამარჯვებულთა შორის 6 ქალაქისა და რაიონის წარმომადგენლები იყვნენ, პრიზიორთა რიგები კი 12 გუნდის სპორტსმენებმა შეავსეს.

გაგაცნობთ სხვა წონით კატეგორიებში გამარჯვებულთ: 42 კგ. გ. კამაზაროვი (ქუთაისი), 45 კგ. გ. ფირუზაშვილი (მცხეთა), 60 კგ. ლ. თხელიძე (ორჯონიკიძე), 65 კგ. გ. მაღლაკელიძე (რუსთავი), 70 კგ. ზ. ქურუმბერია, 75 კგ. მ. ნემსაძე, 81 კგ. გ. ყურაშვილი (ყველა — სოხუმი).

**ც. ძიმისტარიშვილი.**
(ჩვენი სპეც. კორ.).

სოხუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსაჯობის მძიმე წუთები

სპორტულ ასპარეზობათა აუცილებელი ატრიბუტი — მსაჯობა — საპატიო და საპასუხისმგებლო მოვალეობაა. ალბათ დიდ წინააღმდეგობას არ გამოიწვევს ის აზრი, რომ ყველაზე ძნელია მსაჯობა სპორტულ თამაშებში, მათ შორის ფეხბურთში. გარდა იმისა, რომ ამ თამაშის წესები საკმაოდ რთულია და შავ ფორმაში გამოწყობილი მსაჯისგან კარგ ფიზიკურ მომზადებას მოითხოვს, ფეხბურთის არბიტრის პასუხისმგებლობას ისიც ამძიმებს, რომ მისმა თვით ერთი შეხედვით უმნიშვნელო შეცდომამაც კი შეიძლება შედეგის გამოუსწორებელი დამახინჯება გამოიწვიოს. ფეხბურთში ხომ მიზნის მიღწევას გაცილებით დიდი ფასი აქვს, ვიდრე სხვა თამაშებში.

ობიექტური მსაჯობისთვის არბიტრი მატჩის მანძილზე უნდა იქცეს უსუსტეს რობოტად, სავსებით გამორიცხოს ემოციები, სიმპათია ერთ-ერთი მეტოქე გუნდის მიმართ და მხოლოდ იმას მიაქციოს ყურადღება, რაც მინდორზე ხდება. იგი არც მაყურებლებს უნდა ხედავდეს, არც ტრიბუნების ხმაური უნდა ესმოდეს. ამავე დროს, მსაჯი ვალდებულია ფორმალისტი არ იყოს და შემოქმედებითად გაიაზროს მატჩის სიტუაციები (პასიური თამაშგარე მდგომარეობა, თამაშის შეჩერება დამნაშავის სასარგებლოდ...). თუ ასე არ იქნა, მსაჯს, უკეთეს შემთხვევაში, მოელის სტვენა ტრიბუნებიდან, ერთი-ორი „ტკბილი" სიტყვა ჟურნალისტებისგან. შეიძლება ეს ყველაფერი მისთვის არც ისე მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს, მაგრამ აქ მთავარია ის, რომ დაზარალებული რჩება ფეხბურთი, მახინჯდება ამ თამაშის აზრი.

განვლილ მსოფლიო ჩემპიონატს მსაჯობის მიმართ საყვედურის საბაბი არ მოუცია და ამაში თითქოს ყურადღების გასამახვილებელი არაფერია. მაგრამ ფეხბურთელთა უმაღლესი რანგის შეჯიბრებების პრაქტიკა მოწმობს, რომ ძალიან ხშირად მსაჯობა, მეტი რომ არა ვთქვათ, ერთობ შორს იყო სრულყოფილებისგან.

გავიხსენოთ ზოგი რამ წარსულიდან. 1966 წელი. ინგლისი. ფეხბურთელთა VIII მსოფლიო ჩემპიონატი. მატჩი ინგლისი — არგენტინა. მსაჯი კრაიტლაინი (გფრ). თამაშის დროს მინდვრიდან გაძევებულია 1 არგენტინელი. მატჩი გფრ — ურუგვაი. მსაჯი ფინი (ინგლისი). გაძევებულია 2 ურუგვაელი.

საქმეში ჩაუხედავ კაცს შეიძლება ეს სტრიქონები გაუგებრად მოეჩვენოს, მაგრამ თუ დავძენთ, რომ ამ მატჩებისთვის არბიტრებს პირადად ფიფა-ს იმჟამინდელი პრეზიდენტი სტენლი როუზი ირჩევდა, რომ კრიტიკამ ერთხმად აღნიშნა ორივე არბიტრის მიკერძოება, მყისვე უნებლიეთ გაგვახსენდება ერთი ქართული ანდაზა: ხელი ხელს ბანს და ორივე ერთად პირსო.

ოთხი წლის შემდეგ მექსიკის ჩემპიონატში მინდვრის მასპინძლებთან მატჩში ბელგიელი ფეხბურთელები აშკარად შეავიწროვეს... მინდვრის არბიტრებმა, მექსიკელებს ისღა დარჩათ, რომ დაწყებული საქმე ბოლომდე მიეყვანათ.

ამავე პირველობაში საბჭოთა კავშირისა და ურუგვაის გუნდების შეხვედრაში მსაჯმა ვან რავენსმა (ჰოლანდია) გოლი (გადამწყვეტი!) ჩაუთვალა ურუგვაელ ესპარაგოს მას შემდეგ, როცა ბურთმა მინდვრის ფარგლები დატოვა. რაღაც ამის მსგავსი მოხდა ამავე მეტოქეთა შეხვედრაში ჩილის ტურნირში 1962 წელს. საბჭოთა ნაკრების ერთ-ერთი იერიშის დროს ბურთი ლათინური ამერიკის წარმომადგენელთა კარში შევარდა — ცუდად დაჭიმული ბადის ქვეშ გვერდიდან შეგორდა. მსაჯმა აღნიშნა კარის აღება, მაგრამ მას შემდეგ, რაც საბჭოთა გუნდის კაპიტანი ნეტო მივიდა მასთან და აუხსნა მომხდარის არსი, გადაწყვეტილება შეცვალა. სამწუხაროდ, მექსიკაში ურუგვაელ პროფესიონალთა შორის ერთიც არ აღმოჩნდა ისეთი, რომ სამაგიეროდ ასეთი კეთილსინდისიერება მაინც გამოეჩინა.

რასაკვირველია, არ შეიძლება ითქვას, რომ მიუნხენის მსოფლიო პირველობაში მსაჯობა იდეალური იყო (არის კი საერთოდ შესაძლებელი იდეალური მსაჯობა?), მაგრამ მისი ხარისხი მაინც ისე მაღალი გახლდათ, როგორც არასდროს. შეიძლება მსაჯები უმნიშვნელო შეცდომებს უშვებდნენ, მაგრამ ცდებოდნენ ისინი უმეტესად „კარგი მიმართულებით". ასე მოხდა, მაგალითად, იუგოსლავია — ზაირის მატჩის დროს, როცა მსაჯი დელგადო (კოლუმბია) ბოლომდე ვერ გაერკვა ჩვეულებრივი ხულიგნობის ფაქტში და ერთი აფრიკელი ფეხბურთელის მაგიერ მეორე გააძევა. შეიძლება ვიკამათოთ იმაზე, თუ რამდენად სწორი იყო მსაჯის ეს გადაწყვეტილება, მაგრამ ერთი რამ უდავოა: ზაირის გუნდი უნდა დასჯილიყო მსაჯის შეურაცხყოფისთვის. დელგადო მხოლოდ იმაში შეიძლება დავადანაშაულოთ, რომ ამ მომენტში მოთამაშეებისკენ ზურგით იდგა.

არც ისე დამაჯერებელი იყო დასავლეთგერმანელი ჩენჩერის მსაჯობა მაშინ ჯერ კიდევ მსოფლიო ჩემპიონთა — ბრაზილიელთა მნიშვნელოვან მატჩში პოლანდიელ ფეხბურთელებთან. ეს თამაში მარტო უხეში კი არა, ბინძურიც იყო. უნდა ითქვას, რომ გამოცდილმა მსაჯმა ვერ შეძლო გამკლავებოდა მეტოქე გუნდების — განსაკუთრებით ბრაზილიელთა ვნებათა ღელვას. მსაჯი, უბრალოდ, ვალდებული იყო დაენახა ის ეპიზოდი, როცა ჩემპიონთა კაპიტანმა მ. მარინიომ კეფაში მუშტი ჩასცხო პოლანდიელთა ნახევარმცველს ნეესკენსს და ნოკდაუნში ჩააგდო. კიდევ უარესი, თუ ჩენჩერმა ეს ყველაფერი დაინახა, მაგრამ ვერ შეძლო (ან არ მოისურვა) მარინიოს გაძევება. ბრაზილიელები მაინც ვერ გადაურჩნენ ფეხბურთელისთვის ყველაზე მკაცრ სასჯელს. შეხვედრის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე, როცა მატჩის ბედი ფაქტიურად გადაწყვეტილი იყო, მინდორი დატოვა მცველმა პერეირამ.

გდრ — ბრაზილიის მატჩში იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მატჩის არბიტრი თომასი (უელსი) ცალკეულ მომენტებში ლოიალურად ეკიდებოდა ევროპელ ფეხბურთელთა უხეშობას. ეს მაშინ, როცა სამხრეთამერიკელებმა ორჯერ „დაიმსახურეს" ყვითელი ბარათი.

პირველობის რამდენიმე მატჩის შემდეგ გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" საკუთარი კორესპონდენტი გ. გურკოვი წერდა: „X ჩემპიონატის პირველი სამწუხარო „რეკორდი" ასეთია: სამი გაძევება და 31 გაფრთხილება". ამ ფაქტს ერთი შეხედვით სასიამოვნოთა რიგს ვერ მივაკუთვნებთ, მაგრამ აქ მთავარია არა სხვადასხვაფერი ბარათების რაოდენობა, არამედ ხარისხი მსაჯობისა, რომელიც უფრო პრინციპული, შეურიგებელი გახდა.

ამ ბოლო ხანს მსაჯობაში „სიმკაცრის ტალღა" ბევრ ქვეყანას მოედო, — ფიფა-ს მუშაკები თავიანთი ტრიბუნებიდან მრავალგზის მოუწოდეს არბიტრებს ობიექტურობისკენ, უხეშობის აღკვეთისკენ, დამნაშავეთა დაუყოვნებლივ დასჯისკენ. სწორედ ამ პრაქტიკის ნაყოფი ვიხილეთ ზაფხულში დასავლეთ გერმანიის სტადიონებზე. სწორედ ამიტომ არ შეიძლება ნაწყენი დავრჩეთ ვითომდა წესის დარღვევის შემთხვევათა გახშირების გამო: უბრალოდ, მსაჯები უკვე აღარ არიდებენ თვალს უხეშობას და ცდილობენ არა მარტო აღნუსხონ, არამედ აღკვეთონ კიდეც მსგავსი შემთხვევები. წინა მსოფლიო ჩემპიონატებშიც ასეთივე ობიექტური მსაჯობა რომ ყოფილიყო, დასჯის შემთხვევა იქ უდავოდ მეტი იქნებოდა. მოვიყვან ასეთ მაგალითს: ინგლისის მსოფლიო პირველობის დროს ბრაზილია — პორტუგალიის მატჩში, როგორც ცნობილია, ევროპელთა მცველი ვისენტე ძალიან უხეშად თამაშობდა პელეს წინააღმდეგ, რის გამოც ეს უკანასკნელი სერიოზულად დაშავდა. იქნებ შემთხვევით მოხდა ეს? არა! აი, რას ვკითხულობთ მ. სტურუას და ბ. ფედოსოვის წიგნში „საფეხბურთო ალბიონი": „ექვსჯერ გადაეჯაჭვა ერთმანეთს პელესა და ვისენტეს გზები. პირველად ეს მაშინ მოხდა, როცა ჯერ კიდევ სრულიად უცნობი თხუთმეტი წლის ბიჭი „სანტოსის" შემადგენლობაში გამოვიდა სათამაშოდ. ეს გუნდი პორტუგალიის კლუბს „ბელენენსეშს" ხვდებოდა. ამ თამაშში პელემ ოთხი ბურთი გაიტანა. შემდგომი ხუთი თამაშიდან პელემ მხოლოდ ორჯერ დააღწია ვისენტეს „კლანჭებს" თავი. 19 ივლისს, მატჩის წინ, ვისენტემ თქვა: „ერთი წუთითაც არ მოვცილდები პელეს. მინდორიც რომ მიატოვოს და გასახდელისკენ წავიდეს, მაინც უკან გავყვები".

მაგრამ ჩვენ ვერ ვნახეთ პელეს და ვისენტეს ცხარე დუელი. პირველი ტაიმის ნახევრიდან პელე პორტუგალიელის „ბინძურ მარწუხებში" მოექცა, დაშავდა და ფაქტიურად თამაშს გამოეთიშა".

ეს ყველაფერი ინგლისში კი არა, მიუნხენში რომ მომხდარიყო, არ მეეჭვება, მატჩის არბიტრი, ინგლისელი მაკკეიბი დაუყოვნებლივ გააძევებდა ვისენტეს, რომელსაც მანამდე ერთ ორ გაფრთხილებასაც მისცემდა.

X მსოფლიო ჩემპიონატში უხეშ და ბინძურ თამაშს გადაჭრით ომი გამოუცხადეს და საფუძველი არა გვაქვს ვივარაუდოთ, რომ საფეხბურთო მატჩებში მსაჯობა კვლავ დადგება ლოიალობის ლიანდაგზე. სხვათა შორის, ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუნდაც გაკვრით შევეხოთ მსაჯობის ამ მხარეს საბჭოთა კავშირში. სამწუხაროდ, ქვეყნის პირველობის მატჩებში ჯერ კიდევ ხშირია მსაჯების უპრინციპობისა და მინდორზე უხეშობის შემთხვევები. საკმაოდ ტიპიურია სიტუაცია, როცა მთელი მატჩის მანძილზე მცველი მეტოქის წინააღმდეგ თამაშობს, როგორც იტყვიან, ფოლის ზღვარზე, თუმცა სინამდვილეში ყოველ წუთს არღვევს ამ საზღვარს. მსაჯი აუღელვებლად აღნუსხავს წესის ყოველ დარღვევას მცველის მიერ და ამავე დროს ოდნავაც არ ცდილობს გადაჭრით გაილაშქროს ამ უკანონო საქციელის წინააღმდეგ. ზოგჯერ მცველის მეტოქე ბოლომდე ვერ უძლებს იერიშს და თავს უფლებას აძლევს უხეშობას უხეშობითვე უპასუხოს. სწორედ მაშინ აფრიალდება ხოლმე ჰაერში ყვითელი (ან წითელი) ბარათი, თუმცა იგივე უნდა მომხდარიყო ბევრად უფრო ადრე სხვა მისამართით. მსგავს შემთხვევებში ძნელია მსაჯი წინასწარ განზრახვით მოქმედებაში დავადანაშაულოთ. უბრალოდ, საბჭოთა მსაჯები ხშირად ვერ იჩენენ სიმტკიცეს იქ, სადაც გადამჭრელი ზომების მიღებაა საჭირო და ამგვარ სიტუაციებში რატომღაც თავდამსხმელებს უფრო იოლად სჯიან.

მსაჯთა ასეთი პოზიცია უხეშობის მიმართ აუნაზღაურებელ ზიანს აყენებს საბჭოთა ფეხბურთს. ვინ გამოიანგარიშებს ტრავმების მიზეზით ფეხბურთელთა მოცდენის რაოდენობას კალენდარულ მატჩებში? ხშირად ეს ყველაფერი ხდება იმის გამო, რომ არბიტრი ვერ ახერხებს თავის დროზე ალაგმოს უხეში მოთამაშე და ეს უკანასკნელი გულდაარხეინებული გამოდის შემდგომ მატჩში. დიახ, ფეხბურთელები უნდა დავიცვათ უხეშობისგან, გავუფრთხილდეთ მათ, ეს კი, პირველ ყოვლისა, მსაჯის მოვალეობაა.



სურათზე: IX მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის მომენტი. მარცხნიდან — ბრაზილიელები რიველინო, ჟერსონი, შეხვედრის არბიტრი რ. გლიოკნერი (გდრ), იტალიელი ბერტინი და ბრაზილიელი პელე. მსაჯი ექიმს უხმობს დაშავებული პელეს მოსავლელად.

ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატში სსრ კავშირი — გფრ-ის მატჩში იყო მომენტები, როცა დასავლეთგერმანელი შნელინგერი ჩისლენკოს ყოველი მკვეთრი ბიძგის დროს შეუმჩნევლად გვერდით ასწევდა ხოლმე მუხლს — თავდამსხმელს გზას უღობავდა. ბოლოს და ბოლოს ჩისლენკომ ვერ გაუძლო და დაარტყა მეტოქეს, რისთვისაც სამართლიანად გააძევეს მინდვრიდან. მაგრამ წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატში დაცვითი თამაშის ელემენტების თავისუფალი გაგებისთვის შნელინგერი გაფრთხილებას მიიღებდა და ვინ იცის, საქმე შეიძლება ურთიერთობათა შემდგომ გარკვევამდე არც მისულიყო.

X მსოფლიო პირველობაში იყო რამდენიმე საინტერესო და ერთგვარად სადავო სიტუაცია, როცა მსაჯს უნდა ეთქვა გადამწყვეტი სიტყვა.

მატჩი პოლონეთი — ბრაზილია. პოლონელთა ნახევარმცველმა კასპერჩაკმა ცენტრალური ხაზის მახლობლად საკუთარ ნახევარზე წელზე შემოხვია ხელები მეტოქეთა მოთამაშეს მირანდინიას, რომელიც ბურთით წინ მიიწევდა. ბრაზილიელი იმდენად შეუპოვარი იყო, რომ, მიუხედავად ნამდვილი „ჩავლებისა", მაინც მეტოქის კარისკენ მიიწევდა. ტრიბუნების ხმაურში მსაჯის სასტვენის ხმა არ ისმოდა და მერე ორივე მოთამაშე პოლონელთა საჯარიმო მოედანზე მიწაზე დავარდა. ბრაზილიელებმა პენალტი მოითხოვეს, მაგრამ მსაჯმა ხომ მანამდე მისცა თამაშის შეჩერების ნიშანი.

მე ვფიქრობ, იტალიელი მსაჯი ანგონეზე სწორი იყო ამ ეპიზოდში და აი, რატომ: თავიდან მან იმიტომ არ მისცა ნიშანი, რომ ეს ხელსაყრელი იქნებოდა დამნაშავეებისთვის. მერე ბრაზილიელმა ვერ შეძლო ჩამოეშორებინა მეტოქე და არბიტრმა შეაჩერა თამაში. ეს უკვე ფეხბურთი კი არა, რეგბი იყო.

ამ ეპიზოდის შესახებ გულახდილად გამოთქვა აზრი პოლონეთის ნაკრების მწვრთნელმა კ. გურსკიმ: თუმცა ეს ყველაფერი ძალიან არაესთეტური ჩანდა, კასპერჩაკს ვერ გავამტყუნებ — მას სხვა გამოსავალი არ ჰქონდაო.

თუმცა მწვრთნელის სიტყვები მაინცდამაინც პედაგოგიურად არ ჟღერს, პედაგოგიური იყო ის, რომ გურსკიმ იმავ წუთს შეცვალა დამნაშავე. ამით მან თავი გაგვაცნო აზრიან, ჭკვიან მწვრთნელად, რომელსაც უნარი შესწევს სწორად შეაფასოს თავისი ფეხბურთელების სულიერი მდგომარეობა: ზემოაღნიშნული ეპიზოდის შემდეგ კასპერჩაკი, მე ვფიქრობ, სრულფასოვან ფეხბურთს ველარ ითამაშებდა.

სავსებით ვიზიარებ იმ შეხედულებას, რომელიც გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" ფურცლებზე გამოითქვა იუგოსლავია — პოლონეთის მატჩის ერთი ეპიზოდის შესახებ: „ალბათ საჭიროა ითქვას რამდენიმე სიტყვა იუგოსლავიელთა კარში დანიშნული პენალტის შესახებ. საქმე ასე იყო: პოლონელები საჯარიმოს ურტყამდნენ 18 მეტრიდან, როგორც მუდამ, კარის წინ განლაგებული იყვნენ მოწინააღმდეგეთა წყვილები. პოლონეთის ნაკრების ცენტრალურ თავდამსხმელს მეურვეობას უწევდა ნახევარმცველი კარასი — მეურვეობას უწევდა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით — ხელით იჭერდა. მას შემდეგ, რაც საჯარიმო დაარტყეს და ბურთი განზე გაფრინდა, შარმახმა თავი დააღწია კარასის მკლავების ტყვეობას და მათ დაიწყეს ურთიერთობის გარკვევა, რაც იმით დამთავრდა, რომ კარასიმ მეტოქეს ფეხი ჩაარტყა. მატჩის მსაჯმა გლიოკნერმა (გდრ) დაინახა ეს მომენტი და უყოყმანოდ მიუთითა 11-მეტრიანის ნიშანზე. აი, კლასიკური მაგალითი პენალტის სამართლიანად დანიშვნისა უბურთოდ მოთამაშის წინააღმდეგ უხეშობისთვის, როცა კარ[illegible] არის შექმნილი".

აქ მახსენდება ერთი მომენტი მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისა, სადაც ისეთმა არბიტრმაც კი, როგორიც გლიოკნერია, ვერ დაიცვა ობიექტურობა (მართალია, ფაქტიურად არც ერთი მხარე არ დაზარალებულა). მატჩი დასასრულს უახლოვდება. ბრაზილიელები უკვე მსოფლიო ჩემპიონები არიან (იტალიის ნაკრები აგებს ანგარიშით 1:4), მაგრამ ისინი არ აპირებენ იერიშის ძალის განელებას. ღიად დარჩენილმა რიველინომ ბურთი მიიღო და იტალიელთა საჯარიმო მოედანში შეიჭრა. გოლი თითქოს გარდაუვალია, მაგრამ ბრაზილიელს დაეწივნენ და... ფეხი დაუდეს. რიველინო ისე დაეშვა მიწაზე, თითქოს მოცურავე სასტარტო კოშკურიდან წყალში ხტებაო. გლიოკნერმა მშვენივრად დაინახა ყველაფერი ეს, მაგრამ ძალა არ ეყო, რომ ასეთი გამანადგურებელი ანგარიშის დროს პენალტი დაენიშნა.

X ტურნირში შვეცია — პოლონეთის მატჩის შემდეგ ზოგიერთმა ჟურნალისტმა ოლიმპიურ ჩემპიონთა მეკარე ტომაშევსკის ბრალი დასდო იმაში, რომ იგი 11-მეტრიანი საჯარიმოს დანიშვნის შემდეგ დარტყმის მომენტამდე კარის ხაზის გასწვრივ მოძრაობდა (როგორც ცნობილია, ეს აკრძალულია ფეხბურთის წესებით). საღამოს სატელევიზიო პროგრამებმა, როცა განმეორებით უჩვენეს ჩემპიონატის მატჩები, დაადასტურა ჟურნალისტთა შეხედულების სამართლიანობა. მაშ რატომ არ დანიშნა პენალტი ხელახლა ურუგვაელმა მსაჯმა რუისმა? იმიტომ, რომ მსაჯისთვის ძნელია, ზოგჯერ კი შეუძლებელიც არის შენიშნოს, მოძრაობდა თუ არა მეკარე დარტყმის მომენტისთვის. გაზეთ „ნოიეს დოიჩლანდის" (გდრ) სპორტული მიმომხილველი გვთავაზობს მსგავს შემთხვევებში ტელემონიტორები გამოვიყენოთ. ეს იდეა ახალი არ არის. თუმცა თავის დროზე იგი უარყოფილი იყო ფიფა-ს მუშაკთა მიერ, მასში არის რაციონალური მარცვალი და ამაზე ღირს დაფიქრება.

ჩვეულებრივ, ჟურნალისტები საფეხბურთო მატჩების მიმოხილვებში განსაკუთრებული ყურადღებით არ ანებივრებენ არბიტრებს. მსაჯს მხოლოდ მაშინ ეთმობა რამდენიმე სტრიქონი, როცა ძალიან ცუდად ჩაატარებს მატჩს. ჩემი აზრით, საჭიროა კარგი მსაჯობაც შევაქოთ. არა ისე, სხვათა შორის, არამედ საფუძვლიანად. არ არის იოლი 90 წუთის განმავლობაში უდიდესი ნერვული დაძაბულობის გადატანა, მით უმეტეს, როცა სიზუსტე და ობიექტურობა მოგეთხოვება.

მ. კაკაბაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).
მიუნხენი — თბილისი.

## KOPANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABDARUGAS

### 29 ნოემბერს...

როგორც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენელმა გამოაცხადა, მომავალი ოლიმპიური საფეხბურთო ტურნირის შესარჩევი ჯგუფების დაყოფა ციურიხში მოეწყობა 29 ნოემბერს.

### ჩესნოკოვის ერთადერთი ბურთი

**სინგაპური, 22 ნოემბერი.** სსრ კავშირის ახალგაზრდულმა ნაკრებმა დღეს ადგილობრივ ეროვნულ სტადიონზე ამხანაგურ საერთაშორისო მატჩში ანგარიშით 1:0 სძლია სინგაპურის კლუბების ნაკრებს.

ერთადერთი ბურთი შესვენების შემდეგ გაიტანა მოსკოვის „ლოკომოტივის" თავდამსხმელმა ჩესნოკოვმა.

### თამაშის სტილი არ შეცვლილა

იტალიის ნაკრებმა რომში 75000 მაყურებლის წინაშე ჩაატარა ამხანაგური მატჩი მიუნხენის „ბაიერნთან" და დაძაბული ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვა — 1:0. ბურთი 47-ე წუთზე გაიტანა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ბონინსენიამ.

იტალიის ნაკრები ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: ძოფი (ალბერტოზი), როკა (მარტინი), მორინი, ზეკინი, როზი, ორლანდინი (გვანერი), კაუზიო (ანასტაზი), რე ჩეკონი (ბრალია), იულიანო, ბონინსენია, ანტონიონი.

როგორც ხედავთ, ნაკრებში ბევრი ახალი ფეხბურთელი გამოჩნდა, მაგრამ, როგორც ჰოლანდიელთა მწვრთნელმა გ. კნობელმა განაცხადა, გუნდის თამაშის სტილი არ შეცვლილა.

# დაოსტატების გზით

ამ ბოლო დროს გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ ყოველკვირეული დამატება „64“-ის საზღვარგარეთული ინფორმაციის განყოფილებაში ხშირად იბეჭდება ცნობები კოტე კაიშაურის წარმატებათა შესახებ. მაგალითად, ამას წინათ „64“ გვამცნობდა, რომ კ. კაიშაურმა ჰოლანდიის ღია ჩემპიონატში, რომელშიც 120 მოჭადრაკე მონაწილეობდა, II-VII ადგილები გაიყო. მანამდე დაბეჭდილი იყო ცნობა, რომ ახალგაზრდა მოჭადრაკემ შვეციის ვაჟთა ჩემპიონატში IV ადგილი დაიკავა.

„ლელოს“ საჭადრაკო მიმომხილველი თ. გიორგაძე შეხვდა კ. კაიშაურის მამას, თბილისელ მთარგმნელს გ. კაიშაურს და სთხოვა მას უფრო დაწვრილებით ეამბნა კოტეს წარმატებათა შესახებ.



— კოტესთან ხშირი მიმოწერა მაქვს, — გვიამბობს პატივცემული გიორგი. — გაზეთებიდან ამონაჭრებსაც მიგზავნის. ამჟამად კოტე დედამისთან ერთად შვეციაში ცხოვრობს. სწავლობს სტოკჰოლმის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის III კურსზე. პროფესიად მათემატიკური სტატისტიკა აქვს არჩეული. მუშაობს კიდეც.

ჩემთვის უხერხულია კოტეს საჭადრაკო წარმატებებზე საუბარი. არც სპეციალისტი გახლავართ. გაგაცნობთ მის წერილებს, გაზეთებიდან ამონაჭრებს.

დაგვაინტერესა შვეციის ჩემპიონატის წინ გაზეთ „სვენსკა დაგბლადეტში“ გამოქვეყნებულმა სტატიამ „დიდი ნიჭი“. მასში აღნიშნულია, რომ თანამედროვე შვედურ ჭადრაკში შესამჩნევად დაწინაურდა ახალგაზრდობა. ავტორი გამოყოფს ოთხ მოჭადრაკეს, მათ შორის — კოტე კაიშაურს. გაზეთი აღნიშნავს, რომ კოტემ ქვეყნის ჩემპიონატის ნახევარფინალში ზედიზედ 13 პარტია მოიგო და დასძენს, კაიშაურისა და მისი თანატოლის მიკლსონის მონაწილეობა ფინალს გაალამაზებსო.

შვედი მოჭადრაკეები დიდ იმედებს ამყარებენ 21 წლის კაიშაურზე, რომელიც შვეციის ჩემპიონის კლუბის „ვაზის“ პირველ დაფაზე თამაშობს. გაზეთს მოჰყავს კოტეს მოკლე ბიოგრაფია. მასში ვკითხულობთ: „კაიშაური დაიბადა საქართველოში, თბილისში. 8 წლიდან ცხოვრობდა ვარშავაში. დედამისი პოლონელია. შვეციაში 1969 წელს ჩამოვიდა. უკვე 1970 წელს ქვეყნის იუნიორთა ჩემპიონი გახდა. იცის ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული, პოლონური და შვედური ენები“.

— სამწუხაროდ, ქართული ძალიან სუსტად იცის. „დედა ენა“ გავუგზავნე. წერილებში ქართულად მომმართავს. მაგრამ ბევრი სიტყვა დავიწყებია, რადგან ქართულად ლაპარაკი არ უხდება, — შენიშნავს მამამისი. — რუსულში ვარჯიშში ხელს უწყობს გაზეთი „პრავდა“, რომელსაც სისტემატურად კითხულობს.

გაზეთში მოცემულია კოტეს თამაშის დახასიათება. აღნიშნულია, რომ მას უყვარს რთული, კომბინაციური პოზიციები, გაბედულად სწირავს ფიგურებს, ხარისხს. კარგად თვლის ვარიანტებს.

— შვეციის ჩემპიონატის ფინალისთვის კოტე დიდი მონდომებით ემზადებოდა, — განაგრძობს პატივცემული გიორგი. — მწერს, მზადებას მაისის ბოლოს შევუდექი (ფინალი ივლისში გაიმართა), დღეში ხუთ-ექვს საათს ვმეცადინეობდი, ამავე დროს ცურვაში ვვარჯიშობდი და ყოველდღიურად 5 კილომეტრზე დავრბოდიო. ასეთი მომზადების მიუხედავად, სტარტზე ოთხი შეხვედრიდან სამი წაუგია. სამაგიეროდ, მომდევნო 11 პარტიაში 7,5 ქულა მოუგროვებია და პრიზიორთა ჯგუფშიც ყოფილა, მაგრამ გაზეთ „დაგენს ნიუჰეტერს“ მაინც საყვედური გამოუთქვამს, კაიშაურმა იმედი გაგვიცრუაო. კოტეს მეცადინეობას შემდეგ ტურნირებში მოუცია ნაყოფი.

ჰოლანდიის ღია ჩემპიონატის თაობაზე კოტე მამას წერს, შედეგით კმაყოფილი ვარო. ბევრი ცნობილი მოჭადრაკე გავიცანი და რამდენიმე კარგი პარტია ვითამაშეო. მას მოჰყავს ერთ-ერთი პარტია, რომელიც ცნობილი ამერიკელი საერთაშორისო ოსტატის დ. გრიფისთვის მოუგია.

### კაიშაური — გრიფი

**სიცილიური დაცვა**

1. e4 c5 2. მc3 d6 3. f4 g6 4. მf3 კg7 5. კc4 მc6 6. 0—0 მf6 7. d3 0—0 8. f5! gf 9. ლe1 მd4 10. ლh4 კe6 11. კh6 კ:h6 12. ლ:h6 მg4 13. ლh5 მf6 14. ლh4 fe 15. მg5 კf5 16. მc:e4 კg6.



17. ე:f6! ef 18. მ:h7 f5 19. ლh6 fe 20. ლ:g6+ მფh8 21. ლh5 მe2+ 22. მფh1 მფg7 23. მ:f8 d5 24. კ:d5. გრიფმა დროს გადააცილა და წაგება ჩაეთვალა.

— სამი კვირის შემდეგ კოტემ შვეციის გუნდის შემადგენლობაში მონაწილეობა მიიღო გუნდურ ტურნირში, რომელიც დასავლეთ გერმანიის ქალაქ ეკერნდორფში გაიმართა, — განაგრძობს პატივცემული გიორგი.

ამ ტურნირში დანიის, შვეციის, ნორვეგიის, ფინეთის, ისლანდიისა და თვით მასპინძელთა გუნდები მონაწილეობდნენ. შვედებმა IV ადგილი დაიკავეს. კაიშაურს ხუთ შეხვედრაში 3,5 ქულა დაუგროვებია, რაც საუკეთესო შედეგი იყო მის გუნდში. კოტე კრიტიკულად შენიშნავს, რომ ეს განსაცვიფრებელი შედეგი არ არის, მეტია საჭიროო.

მერე გავეცანით „დაგენს ნიუჰეტერში“ დაბეჭდილ წერილს. მასში ნაამბობია კაიშაურისა და ი. ორნსტაინის მატჩის შესახებ, რომელიც გაზეთის ფურცლებზე მიმდინარეობს. გაზეთი მკითხველებს წარუდგენს ახალგაზრდა მოჭადრაკეებს და სხვათა შორის აღნიშნავს, რომ კაიშაური ჭაბუკთა მსოფლიო პირველობაშიც (ათენი) მონაწილეობდა. დაბეჭდილია პარტიაში გაკეთებული სვლები...

შვეციის გაზეთებს ძალიან მოსწონთ ჰარი ნურმისთან კაიშაურის მოგებული პარტია.

— კოტემ ეს პარტიაც გამომიგზავნა, — გვითხრა მამამისმა და ტექსტი გადმოგვცა.

მართლაც, მომხიბლავია ახალგაზრდა მოჭადრაკის კომბინაციური იერიში შავ მეფეზე. გაეცანით მას.

### კაიშაური — ნურმი

**უფიმცევის დაცვა**

1. e4 d6 2. d4 მf6 3. მc3 g6 4. მf3 კg7 5. h3 0—0 6. კe2 c6 7. 0—0 b5 8. e5 მe8 9. კf4 მd7 10. a4 b4 11. მe4 d5 12. მg3 მc7 13. ლd2 მe6 14. კh6 a5 15. კ:g7 მფ:g7 16. მh4! f5 17. ef+ ef 18. ეfe1 ლc7 19. კg4 ლf4! 20. ლd1 მg5 21. ეe7+ ეf7 22. მhf5+! მფf8 23. ლe2 მe4 24. ე:f7+ მფ:f7 25. f3 gf 26. მ:f5! კa6 27. ლe1 მf8 28. fe ეe8 29. e5! მფg8 30. ლh4 ლg5 31. ლ:g5 fg 32. მd6 ეe7 33. ეe1 c5 34. c3 cd 35. cd ეc7 36. კf3 ეc2 37. კ:d5+ მფg7 38. e6. ნურმი დანებდა.

სპეციალისტების აღიარებით, კოტე კაიშაური ნიჭიერი, მზარდი ოსტატია. იგი ახლახან გამოვიდა დიდ სარბიელზე და სახელიც მოიხვეჭა. საქართველოში კოტე უკანასკნელად 1967 წელს იყო. სასურველია, რომ ჩვენს ვაჟთა ერთ-ერთ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში ისიც მოვიწვიოთ.

* * *

სურათებზე: კ. კაიშაური; გაზეთ „დაგენს ნიუჰეტერიდან“ იმ ადგილის რეპროდუქცია, სადაც კაიშაურ — ორნსტაინის მატჩის შესახებაა საუბარი.




## ე. ტანტიბა

ხანგრძლივი, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თბილისის „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელი, სპორტის ოსტატი ედნანტ აკიპის ძე ტანტიბა.

ე. ტანტიბა დაიბადა 1927 წელს ბათუმში. იქ სწავლობდა, იქ დაამთავრა საშუალო სკოლა და იქაურ სპორტულ სარბიელზე აიდგა ფეხი. ე. ტანტიბამ თავიდანვე გამოიჩინა თავი როგორც ნიჭიერმა ფეხბურთელმა, გამოდიოდა ბათუმისა და აჭარის მოზარდთა ნაკრებ გუნდებში, შემდეგ კი — ბათუმის „დინამოს“ მოზრდილთა კოლექტივში.

1949 წელს ე. ტანტიბა მიიწვიეს თბილისის „დინამოში“, სადაც 1952 წლამდე გამოდიოდა დაცვაში, უმთავრესად — ცენტრალურ მცველად. ფეხბურთის ძველ გულშემატკივრებს უდავოდ ეხსომებათ მისი ტაქტიკურად გამართული, კორექტული, თავგამოდებული თამაში.

1952 წელს ე. ტანტიბა საცხოვრებლად გადავიდა რიგაში, სადაც თამაშობდა ადგილობრივ „დაუგავაში“, შემდეგ კი ლატვიაში მუშაობდა მწვრთნელად.

ე. ტანტიბა მუდამ გამოირჩეოდა თავაზიანობით, საქმისადმი ერთგული, კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით. მას ყველგან სიყვარული ჰქონდა დამსახურებული — ბათუმშიც, თბილისშიც, რიგაშიც... მისი ნათელი ხსოვნა მუდამ იცოცხლებს ახლობლებისა და მეგობრების გულში.

**ბათუმისა და თბილისის ვეტერანი ფეხბურთელები.**



## ჭადრაკი ყველგან

● ლვოვი, 21 ნოემბერი. აქ დაიწყო სსრ კავშირის XX ჩემპიონატი ასუჯრიან შაშში. წილისყრამ მონაწილეები ასე გაანაწილა: 1. ბ. კუზნეცოვი, 2. მ. კორენეცკი, 3. ა. მოგილიანსკი, 4. ბ. შავერდიანი, 5. ვ. შჩოგოლევი, 6. ლ. სლობოდსკოი, 7. კ. პროხოროვი, 8. ი. კოლოდიევი, 9. ვ. კაპლანი, 10. გ. აგაფონოვი, 11. ნ. აბაციევი, 12. ნ. სრეტენსკი, 13. ლ. ციპესი, 14. ნ. ლისიანსკი, 15. ა. ჩულკოვი, 16. ა. ბეზვერშენკო, 17. მ. კონტრობარსკი, 18. ლ. ზალიკისი, 19. ვ. გოლოსუევი. მე-20 ნომერი ჯერ შეუვსებელია: თბილისში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ახლახან დამთავრებული ტურნირის მონაწილე ა. ანდრეიკოს ელის. ი. კუპერმანმა და ა. განტვარგმა თამაშზე უარი განაცხადეს. I ტურში სლობოდსკოიმ დაამარცხა ჩულკოვი, თბილისელმა შავერდიანმა — კონტრობარსკი, კოლოდიევმა — ციპესი. დანარჩენი პარტიები ყაიმით დამთავრდა.

● **ვენეცია, 22 ნოემბერი.** მოჭადრაკე ვაჟთა აქ მიმდინარე საერთაშორისო შეჯიბრებაში 10 ტურის შემდეგ ყველაზე კარგი შედეგი (7,5 ქულა) აქვს მსოფლიოს ექს-ჩემპიონს, მოსკოველ დიდოსტატ ვ. სმისლოვს. X ტურში მან იტალიელი კ. მიკელი დაამარცხა. ტურნირის მეორე საბჭოთა მონაწილეს, ხარკოველ დიდოსტატ ვ. სავონს 6 ქულა დაუგროვდა. X ტურში მან ყაიმით დაამთავრა შეხვედრა კანადელ დ. სათლზთან, რომელმაც წინა დღეს სმისლოვს სძლია.

● **ბელგრადი**, 22 ნოემბერი. როგორც ადგილობრივი გაზეთი „ვეჩერნიე ნოვოსტი“ იუწყება, სახელგანთქმულმა იუგოსლაველმა მოკრივემ, ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა მ. პარლოვმა რინგი დატოვა.

## წოდება შეინარჩუნა

ევროპის ჩემპიონმა მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის, ინგლისელმა ჯო ბაგნერმა ლონდონში, „უემბლის“ სახელგანთქმულ დარბაზში ქულებით სძლია ამერიკელ ჯიმი ელისს. მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ ბაგნერმა (იგი მსოფლიო კლასიფიკაციაში მეხუთე ნომრადაა დასახელებული) ყოველმხრივ დაჯაბნა თავისი მეტოქე (იგი ამავე კლასიფიკაციით მეათე ნომერია) და ათი რაუნდიდან ერთიც არ წაუგია.

ბაგნერის ოცნებაა მსოფლიო ჩემპიონის წოდებისთვის შეებრძოლოს ამ ტიტულის ახლანდელ მფლობელს მუჰამედ ალის (აშშ), მაგრამ ყველაფერი ეს შორეული მომავლის გეგმებია. მანამდე კი ბაგნერს ორი ბრძოლა აქვს დაგეგმილი: 3 დეკემბერს ლონდონის „როიალ ალბერტ ჰოლში“ შეხვდება ამერიკელ დანიელ კერკმენს, რომელსაც ჯიმი ელისი დამარცხებული ჰყავს და მსოფლიოს ექს-ჩემპიონს ჯორჯ ფორმენსაც შეხვედრია, მერე კი, 9 იანვარს, ინგლისის რომელიმე ქალაქში თავის ტიტულს დაიცავს იტალიელ დანტე კანესთან ბრძოლაში.

ევროპის მეორე ბრიტანელი ჩემპიონი (ოღონდ მჩატე წონაში), შოტლანდიელი კენ ბუჩენანი ასევე თავისი ტიტულის დასაცავად პარიზში შეხვდება მასპინძელ ლეონარდ ტავერესს. ეს ბრძოლა 16 დეკემბერს გაიმართება.

(საკ. ინფ.).

* * *

სურათზე: ჯიმი ელისი (მარცხნივ) და ჯო ბაგნერი მუჰამედ ალის მუყაოს ფიგურას „ემუქრებიან“.

რედაქტორი მ. პაპაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14, უე 14249